



HANDMADE GOODS DISTRIBUTION

პარტნიორთა ხელშეკრულება # _____

ქ. კიევი « _____ » _____ 201__ წ.

„მწარმოებელი“

გსმ _____ დაბადების თარიღი ____ . ____ . 19__ წ., პასპორტი სერია _____,

მცხოვრები მისამართზე _____,

საკონტაქტო ტელეფონები: _____,

ელ. ფოსტა: _____,

ერთის მხრივ, და

„დისტრიბუტორი“, კომპანია „MADEheart Trading Limited“, დირექტორის არტიომ ანატოლის ძე ტკაჩევის სახით, პასპორტი TT 158797, მცხოვრები მისამართზე: ქ. კიევი, შიუსევის შესახვევი, ს. 12, ტელ.: +380 67 239 57 24, მეორეს მხრივ, დადეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით, მწარმოებელი კისრულობს აწარმოოს და მიაწოდოს ნაკეთობები (შემდგომში - „საქონელი“) დისტრიბუტორს, დისტრიბუტორი კი კისრულობს მიიღოს და მესამე პირებს (შემდგომში - „მყიდველი“) მიყიდოს მოცემული საქონელი.
- 1.2. მწარმოებელი საქონელს დისტრიბუტორს მიაწოდებს წინასწარი შეკვეთის საფუძველზე, რომელიც მწარმოებელს მიეწოდება დისტრიბუტორის წარმომადგენლის მიერ ელ. ფოსტისა და/ან ტელეფონის მეშვეობით.
- 1.3. საქონლის ფასი, მისი წარმოების ვადა, მიწოდების ვადა თანხმდება მწარმოებლის მიერ წინასწარი შეკვეთის დროს, შესაბამისი საქონლის შესახებ ანკეტაში აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით.

2. მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და გარანტიები

- 2.1. მწარმოებელი ადასტურებს, რომ საქონელი მას ეკუთვნის საკუთრების უფლებით, მასზე არ არსებობს გასხვისების აკრძალვა, ყადაღა, საკუთრების უფლებით არ ეკუთვნის მესამე პირებს.
- 2.2. მწარმოებელი ადასტურებს, რომ საქონელი პასუხობს ამ ტიპის საქონლის ხარისხის საერთო კრიტერიუმებს, კერძოდ: საქონელი ახალია, დამზადებულია ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენების გარეშე, მისი სამომხმარებლო თვისებები და სასაქონლო სახე შენარჩუნებულია.
- 2.3. მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი შეიფუთება და იქნება მარკირებული ისე, რომ დისტრიბუტორისთვის მიწოდების დროს არ დაუშვას მისი დაზიანება ან განადგურება.
- 2.4. მწარმოებელი კისრულობს აწარმოოს საქონელი და დისტრიბუტორს მიაწოდოს წინასწარი შეკვეთის დროს შეთანხმებულ ვადებში.
- 2.5. მწარმოებელი საქონლის გაგზავნის დღეს დისტრიბუტორს ტელეფონით, ელ. ფოსტით აცნობებს ამანათის ნომერს, საფოსტო სამსახურის სახელწოდებას, მიმღების მისამართს, საქონლის მიღების თარიღს.
- 2.6. მწარმოებლისგან საქონლის დისტრიბუტორისთვის მიწოდების გადახდა ხორციელდება დისტრიბუტორის მიერ.
- 2.7. მწარმოებელი კისრულობს დისტრიბუტორს გაუწიოს საქონელთან დაკავშირებული კონსულტაციური მხარდაჭერა - წარმოუდგინოს საქონლის დეტალური აღწერა და ტექნიკური მახასიათებლები.
- 2.8. მწარმოებელი ადასტურებს, რომ მისი საქონლის გაყიდვა ხორციელდება ამა თუ იმ საზღვარგარეთის ელექტრონულ სავაჭრო მოედანზე და კისრულობს 20 სამუშაო დღით ადრე აცნობოს დისტრიბუტორს მისი საქონლის გაყიდვის დაწყების შესახებ საზღვარგარეთის ამა თუ იმ ელექტრონულ სავაჭრო მოედანზე.
- 2.9. დისტრიბუტორი კისრულობს:
 - განახორციელოს საქონლის მიღება მწარმოებლისგან;
 - საქონელი გაყიდოს სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრობის მოქმედი წესების შესაბამისად;
 - განახორციელოს შეკვეთილი საქონლის 100% გადახდა მწარმოებლის პირველი წერილობითი თხოვნით 3 სამუშაო დღის განმავლობაში, მწარმოებლის მიერ შეკვეთილი საქონლის დისტრიბუტორისთვის გასაგზავნად მზადყოფნის დადასტურების მომენტიდან.
 - შეწყვიტოს საქონლის გაყიდვა მწარმოებლის პირველი წერილობითი თხოვნით, რომელიც გაგზავნილი იქნება ელ. ფოსტაზე info@madeheart.org 10 სამუშაო დღის განმავლობაში მწარმოებლისგან ასეთი თხოვნის შემოსვლის შემდეგ.
- 2.10. მწარმოებელი უფლებამოსილია:
 - მოშალოს არსებული ხელშეკრულება, ამის შესახებ მოშლის თარიღამდე 15 სამუშაო დღით ადრე დისტრიბუტორის წინასწარი შეტყობინებით.
 - შეიტანოს ცვლილებები საქონლის აღწერაში, ასორტიმენტსა და ტექნიკურ მახასიათებლებში, რომელსაც ის მიაწოდებს დისტრიბუტორს, ამის შესახებ დისტრიბუტორის წარმომადგენლისთვის წინასწარი შეტყობინებით ტელეფონზე +38 095 222 2959 და/ან ელ. ფოსტაზე info@madeheart.org.
 - დისტრიბუტორს შესთავაზოს გასაყიდი საქონლის ახალი ასორტიმენტი.

2.11. დისტრიბუტორი უფლებამოსილია:

- მოშალოს არსებული ხელშეკრულება, ამის შესახებ მწარმოებლისთვის მოშალოს ვადამდე 15 სამუშაო დღით ადრე წინასწარი შეტყობინებით.
- დაუბრუნოს საქონელი მწარმოებელს, მიღებული საქონლის წინასწარი შეკვეთის დროს შეთანხმებულ მახასიათებლებთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობის შემთხვევაში (ნაკეთობის მთლიანობა, სასაქონლო სახე, ფერი, ზომა, მოცულობა და გამოყენებული მასალები).
- მისცეს რეკომენდაციები მწარმოებელს საქონლის ტექნიკურ მახასიათებლებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მათ კონკურენტუნარიანობაზე დაყრდნობით.

3. საქონელის საკუთრების უფლება

- 3.1. საქონელის საკუთრების უფლება დისტრიბუტორზე გადადის, დისტრიბუტორის მიერ ამ საქონლის საფასურის გადახდის მომენტიდან.
- 3.2. საქონლის საავტორო და მომიჯნავე უფლებები რჩება მწარმოებელს.
- 3.3. მწარმოებელი დისტრიბუტორს ანიჭებს საქონლის სახელწოდებისა და მწარმოებლის სახელის გამოყენების უფლებას საქონლის რეკლამირებისა და მისი ბაზარზე დაწინაურებისთვის.

4. ანგარიშსწორების წესი

- 4.1. მწარმოებელი საქონლის საფასურს იღებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, მისი კუთვნილი თანხის წინასწარი შეკვეთისას შეთანხმებულ ანგარიშსწორების ან საბარათე ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

5. საქონლის მიწოდების პირობები და წესი

- 5.1. საქონლის მიწოდება მწარმოებლის მიერ ხორციელდება წინასწარი შეკვეთის საფუძველზე, რომელიც დისტრიბუტორის მიერ მწარმოებლისთვის გადაიცემა ელ. ფოსტით ან ტელეფონით.
- 5.2. მწარმოებელი დისტრიბუტორს საქონელს მიაწოდებს მწარმოებლის მიერ წინასწარი შეკვეთისას შეთანხმებულ ვადებში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით თავისი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ წინამდებარე ხელშეკრულებითა და (ან) უკრაინაში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.
- 6.2. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისთვის, თუ ეს შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება განპირობებულია გადაულახავი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებების: სტიქიური ბუნებრივი მოვლენები, სამხედრო მოქმედებები, ცვლილებები კანონმდებლობაში, სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები) გარემოებათა მოქმედებით. მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოებების დადგომის თარიღიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს. თუ ეს გარემოებები მოქმედებს 3 თვეზე მეტი დროით, თითოეულ მხარეს უფლება აქვს გააუქმოს ეს ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ შესაძლო ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარეშე.

7. ხელშეკრულების მოქმედება

- 7.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ითვლება და ძალაში შედის მისი მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულების მოქმედების მოშლამდე.
- 7.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვა არ ათავისუფლებს მხარეებს პასუხისმგებლობისგან მისი დარღვევისთვის, რომელსაც ადგილი ქონდა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დროს.

8. დასკვნითი დებულებები

- 8.1. მოცემული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
- 8.2. თუ შესაბამისი დავის გადაწყვეტა შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, ის წყდება სასამართლო წესით უკრაინაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.3. მხარე სრულად პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის სისწორეზე და კისრულობს დროულად წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაციის ცვლილების შესახებ.
- 8.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია მხარეების მიერ მისი ტერმინოლოგიისა და პირობების სრული გაგებით რუსულ ენაზე ორ აუტენტურ ეგზემპლარად, რომლებსაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა - თითო-თითო ყოველი მხარისთვის.

მხარეთა ხელმოწერები:

მწარმოებელი _____

დისტრიბუტორი: _____